



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**  
**საჯარო შეტყობინების განხორციელების შესახებ**

საქმე № 2ბ/4121-10

21 თებერვალი 2011 წელი  
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო  
სამოქალაქო საქმეთა პალატამ  
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ბესარიონ ტაბალუა  
მოსამართლეები: მათა ბაქრაძე  
თეა სონაშვილი-ნიკოლაიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა – თამარ და ზაზა ჭანკოტაძეებისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2011 წლის 17 მარტს 11:00 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იხილავს ლევან შალიბაშვილის სააპელაციო საჩივარს თამარ და ზაზა ჭანკოტაძეების მიმართ. მოწინააღმდეგე მხარეებს – თამარ და ზაზა ჭანკოტაძეების რამოდენიმეჯერ გაეგზავნათ უწყება სასამართლო სხდომის შესახებ, მაგრამ ჩაბარება ვერ მოხერხდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეებისათვის თამარ და ზაზა ჭანკოტაძეებისათვის უწყებების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სააპელაციო პალატა თვლის, რომ მათ საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოთ სასამართლო სხდომის დღის შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 390-ე მუხლებით და შენობაში თვალსაჩინო

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოთ თამარ და ზაზა ჭანკოტაძეებს, სასამართლო სხდომა დანიშნულია 2011 წლის 17 მარტს 11:00 საათზე. სხდომა გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7<sup>ა</sup>, დარბაზი №13).

2. განემარტოთ თამარ და ზაზა ჭანკოტაძეებს, რომ სასამართლო უწყება მათთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს.

3. აღნიშნულ პროცესზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით თამარ და ზაზა ჭანკოტაძეებს განემარტოთ შემდეგი:

– თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო უფლებამოსილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად გამოიტანოს **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**.

– თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით

დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

– დაბარებული პირი ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოს სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამოდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე

4. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.

5. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ბესარიონ ტახალუა

მოსამართლეები

მაია ბაქრაძე

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი